ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №222/ბ

ქ. თბილისი

„18“ „ნოემბერი“ 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის ნინო ბერძულის სახით, და მეორე მხრივ, შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა", მისი დირექტორის ზურაბ ჩხაიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა“ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2016 წლის ასიგნებების ფარგლებში, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად (წარმომადგენლობითი ხარჯი) აშშ ჯანმრთელობისა და ადამიანური სერვისების დეპარტამენტის დელეგაციის საქართველოში სტუმრობასთან დაკავშირებით, ოფიციალური ვახშამის ორგანიზების მიზნით მომსახურების შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი 55300000) და „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება გაუწიოს „შემსყიდველს“ ზემოაღნიშნული მომსახურება 879.69 (რვაას სამოცდაცხრამეტი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. მცხეთის რაიონ სოფელ საგურამოში „გურამიშვილის მარანში" ვახშამის ორგანიზება 10 (ათი) პერსონაზე.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ვადები:

4.1.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2016 წლის 18 ნოემბერს 19:00 საათზე.

4.2. ადგილი:

4.2.1. მცხეთის რაიონი, სოფელი საგურამო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა (დანართი №1) და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 10 (ათი) დღით ადრე. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით,. რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებიტ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი) მთავარი სპეციალისტი მაია ნიკოლეიშვილი.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ორი – "შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო
სამსახური
საიდენტიფიკაციო კოდი 211333957

ნინო ბერიძე
მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი"

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა"
ქ.თბილისი, ს. ცინცაძის ქ.№12.
ვითიბი ბანკი, კოდი №UGEBGE22
ა/ა №GE23VT6600000027073608
საიდ. კოდი №200075113

ზურაბ ჩხაიძე
დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

ი. ქიტიაშვილი

ი. გვასალია

მ. ნიკოლეიშვილი

შემსრულებელი: ბ. შუშიაშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული მომსახურების
მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი

„ —— “ ———— 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი .....

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი .....
(ორგანიზაციის დასახელება)

.....
(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ .....

.....

2016 წლის „ .....“ „ .....“ № ..... ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

..... (თვის დასახელება) თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ

შეადგინა .....
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება ანაზღაურებულია .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი

ბ. ა.

ჩააბარა

1. ხელმძღვანელი
2. მთავარი ბუღალტერი

ბ. ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი „18" „ნოემბერი" 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა"-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ნ. ბერძული

ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

მ. ნიკოლეიშვილი

ბ. შუშიაშვილი